



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 225

01 06 2011 წ.

ქ. თბილისი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის
დამტკიცების შესახებ

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს „საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის პროექტი. მედიცინის დარგში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციების იდენტიფიცირების მიზნით შემუშავდა კითხვარები. ამ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტისა“ და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოკითხვათა შედეგების მიხედვით გამოიკვეთა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით გასავითარებელი კომპეტენციები. დოკუმენტის სამუშაო ვერსია განთავსდა სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. დოკუმენტთან დაკავშირებული წინადადებებისა და შენიშვნების, აგრეთვე სხვადასხვა აკადემიური სამიტის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა მისი შეჯერებული ვერსია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მედიცინის რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ №3 დანართის („უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო“) პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



აკაკი სეფერთელაძე

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

I. სფეროს აღწერა

სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც შეეხება არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სიცოცხლეს. სამედიცინო განათლების ზოგადი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესებაა.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“ (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი). საბაზო სამედიცინო განათლების ხარისხის, როგორც წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მხოლოდ საბაზო საბუნებისმეტყველო და კლინიკურ მეცნიერებებში თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

II. დასაქმების სფერო

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ მედიკოსს), მოქმედი კანონმდებლობით, არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი“ (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-7 მუხლი).

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი).
- პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, როგორც მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი (კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 48-ე მუხლი), დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლებას იძლევა.

III. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის შედეგები

ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრება TUNING/MEDINE-ს მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

სამედიცინო დარგში საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი, 6-წლიანი, 360 კრედიტიანი. მთელი პროგრამა მიმართულია სამედიცინო საქმისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებაზე, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. სამედიცინო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციაა დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, MD).

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ინტეგრირებული კურიკულუმის თერთმეტსაფეხურიანი სკალის, სულ მცირე, მეორე საფეხურს. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ჩამონათვალი განსხვავებული იქნება ინსტიტუციური კონტექსტის მიხედვით, მაგრამ არსებობს საერთო კომპეტენციები, რომლებიც ქმნის საფუძველს დიპლომირებული მედიკოსის ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, აუცილებელია, კურიკულუმში, ექვსწლიანი სწავლის განმავლობაში, გათვალისწინებული იყოს, სულ მცირე, 20 კრედიტი კლინიკური უნარ-ჩვევებისა და არანაკლებ 10 კრედიტისა სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

მედიცინის დარგში სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს.

მედიცინაში ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>დიპლომირებულ მედიკოსს აქვს საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა; იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობებისა და დაავადებების მიხედვით; აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში; აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა; აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი,</p>

	როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.
დასკვნის უნარი	აქვს ღრმა კლინიკური აზროვნება, შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებით.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება; აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.
ღირებულებები	აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

IV. სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამა მედიცინის დარგში მოიცავს სწავლებას და სამეცნიერო კვლევას, რომლის თეორიულ, ექსპერიმენტულ და კლინიკურ შედეგებს არსებითი მნიშვნელობა ექნება სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებისათვის. დოქტორანტურის ძირითადი მიზანია სამეცნიერო-პედაგოგიური კადრის მომზადება.

დოქტორანტურა სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დოქტორანტის სტატუსი და დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება სავალდებულოა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები (TUNING/MEDINE-ის მიხედვით)

დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი ცოდნა

1. საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა
2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა
3. კლინიკური მეცნიერებების ცოდნა
4. წამლები და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა
5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება
6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა

დარგობრივი უნარები

კურსდამთავრებულს უნდა შეემლოს:

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

- ანამნეზის შეკრება
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტის გამხმევება და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება

2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა

- კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება
- პაციენტებსა და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა
- ქრონიკული დაავადების მართვა

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლისშემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება
- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლისშემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

4. მედიკამენტების გამოწერა

- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას

5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- წნევის გაზომვა
- ვენეპუნქცია
- ლუმბალური პუნქცია
- ვენაში კათეტერის ჩადგმა
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა
- ნაკერის დადება
- სისხლის ტრანსფუზია
- შარდის ბუმტის კათეტერიზაცია
- შარდის ანალიზის გაკეთება
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება

6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია

- პაციენტთან კომუნიკაცია
- კოლეგებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას
- ნათესავებთან კომუნიკაცია
- უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
- წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
- კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
- კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით
- კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან
- ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

- კონფიდენციალობის დაცვა
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპებისა და ანალიზის უნარის გამოყენება
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება
- სიკვდილის ცნობის გაცემა
- აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში)

- მკურნალობისას საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება
- სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში

8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა
- ალკოჰოლსა და წამალზე დამოკიდებულების დადგენა

9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება

- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება
- პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო)

11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მიეცნიერებების მიღწევათა გამოყენების უნარი
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

ზოგადი კომპეტენციები

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი

შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

2. ინფორმაციის მართვა

შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.

3. პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება

დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს საკუთარი სპეციალობის ფარგლებში.

4. ჯგუფში მუშაობის უნარი

აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა.

5. კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე

აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

6. სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი

შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.

7. ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი

კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი.

8. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა.

სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში (უმცროსკურსელებისთვის) და კლინიკურ გარემოში (უფროსკურსელებისთვის). სწავლებისას უმაღლესმა სამედიცინო სასწავლებელმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ახალ ტექნოლოგიებს. ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პორტფოლიო, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.

სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, კოლოკვიუმები
- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება
- ლაბორატორიული სწავლება
- პრეზენტაციები
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა
- სამუშაო პრაქტიკა

შედეგზე ორიენტირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტის ადრეული ჩართვა სამეცნიერო მუშაობაში. კურიკულუმში სტუდენტის კვლევაში მონაწილეობას ეთმობა განსაზღვრული საათები. ჩვეულებრივ, პირველ წლებში სტუდენტებს ასწავლიან სამეცნიერო კვლევის ძირითად საფუძვლებს, რთავენ მას დეპარტამენტების კვლევით საქმიანობაში (მონაცემების შეგროვება, კითხვარების დარიგება, და სხვ). სტუდენტის მიერ კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისას შესაძლებელია მისთვის შესაბამის საგანში ქულების მინიჭება (გამოცდის ალტერნატივა). მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ დეპარტამენტების/ფაკულტეტების სამეცნიერო კონფერენციებში.

საბაზო სამედიცინო განათლების დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებასაც. რეკომენდაციები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების შესახებ დეტალურად არის მოცემული WFME-ისა და MEDINE-ის ერთობლივ დოკუმენტში - „სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით“, და შეესაბამება TUNING/MEDINE-ის მიერ შემუშავებულ კომპეტენციებს.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზო სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა სირთულის სიმულატორები და კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას. ვირტუალური სასწავლო მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს პაციენტთა უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვნად განტვირთავს სამკურნალო დაწესებულებებს სტუდენტთა დიდი ჯგუფებისგან, რომლებიც პაციენტთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით ხშირად ვერც კი ახერხებენ ამა თუ იმ კლინიკური ჩვევის გამომუშავებას, განსაკუთრებით სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ მათ მიერ სწავლის პროცესში გამოიმუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ, სახელდობრ:

- წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად)
- ვენეპუნქცია (სიმულატორზე)
- ლუმბალური პუნქცია (სიმულატორზე)
- ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე)
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე ან ზედამხედველობით)
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით)
- ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად)
- პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად)
- ნაკერის დადება (სიმულატორზე)
- სისხლის ტრანსფუზია (სიმულატორზე)
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე)
- შარდის ანალიზის გაკეთება (დამოუკიდებლად)
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად)
- ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია (დამოუკიდებლად)
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (დამოუკიდებლად)

განათლების ხარისხის ამაღლება

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებებს. სამედიცინო განათლების ხარისხის ამაღლების გზა არის *ინტეგრირებული კურიკულუმი*, რომელიც მოიცავს 11 საფეხურს.

ინტეგრირებული კურიკულუმი გულისხმობს ფუნდამენტური და კლინიკური საგნების ინტეგრაციას (ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია). ჰორიზონტალური ინტეგრაციის დროს იქმნება ერთი კურსის სხვადასხვა საგნის ერთიანი მოდულები. აუცილებელი მოთხოვნაა კლინიკური საგნების ჩართვა სწავლის პირველსავე წელს; ინტეგრირებული კურიკულუმი საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ცოდნის ფრაგმენტაცია და ადრეული ეტაპებიდან გამოვუშვათ სტუდენტებს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების უნარი.

კურიკულუმი შეიძლება იყოს *სრულად* ან *ნაწილობრივ* ინტეგრირებული. სრულად ინტეგრირებული კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ ტრანსდისციპლინურ მოდულებს, მაშინ როცა ნაწილობრივი ინტეგრაციისას კურიკულუმი შედგება როგორც ცალკეული დისციპლინებისგან, ასევე ინტეგრირებული მოდულებისგან.

ინტეგრირებული კურიკულუმის შესაბამისი სწავლების მეთოდებში პირველ რიგში მოიაზრება *პრობლემასა* და კლინიკურ *შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა* (PBL და CBL, შესაბამისად). PBL-ის უპირატესობა სწავლის ტრადიციულ მეთოდთან შედარებით სტუდენტების მიერ პრობლემების გადაჭრის დამოუკიდებლად სწავლა და კოლაბორაციული სწავლის უნარის შექმნაა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ექიმის პროფესიული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად. ინტეგრირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტის ადრეული ჩართვა *სამეცნიერო კვლევაში*. კვლევის კომპონენტი გათვალისწინებულია ინტეგრირებულ კურიკულუმში. სტუდენტების როლი კვლევაში თანდათან მატულობს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს.

ინტეგრირებული განათლება სწავლების პირველივე წლიდან გულისხმობს სტუდენტების მიერ *კლინიკური უნარ-ჩვევების* გამომუშავებას. უნარ-ჩვევების სირთულე კურსიდან კურსზე გადასვლისას მატულობს. კურიკულუმით წინასწარ განისაზღვრება იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელიც უნდა აითვისოს სტუდენტმა სწავლის პროცესში. კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სათანადო კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრების და მრავალპროფილური კლინიკური ბაზების არსებობა.

ინტეგრირებული სწავლების დანერგვა გულისხმობს სტუდენტთა *შეფასების* ახალი მეთოდების შემოღებას (OSCE, პორტფოლიო).

OSCE – *ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა* - სადღეისოდ ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში სტუდენტებისა და რეზიდენტების კლინიკური კომპეტენციის (კლინიკური უნარ-ჩვევების) შესაფასებლად. OSCE-ის გამოცდის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრაციას სიმულატორების გამოყენებით ან პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე. OSCE აღიარებულია სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტად სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

პორტფოლიო სტუდენტთა აქტივობის შეფასების ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია და გულისხმობს:

- სტუდენტის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოს ხარისხს;
- სტუდენტთა ინტელექტისა და დამოუკიდებელი აქტივობის შეფასებას;
- დოკუმენტებს, რომლებიც ასახავს სტუდენტის აქტივობას 1-იდან მე-6 კურსამდე.

პორტფოლიო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიმდინარე და საბოლოო შეფასებაზე, რადგანაც ის ობიექტურად და დასაბუთებულად ასახავს სტუდენტის კლინიკური აზროვნების, უნარების, ზოგადი პროფესიული თვისებების განვითარების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავლენს მის ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების გზებს.

ევროპაში საბაზო სამედიცინო განათლების პირველი საფეხურის კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნის მინიმალური მოთხოვნები

ბაზისური საგნები

ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქცია (ფიზიოლოგია)
ადამიანის სხეულის ნორმალური სტრუქტურა (ანატომია)
ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მეტაბოლიზმი და ჰორმონალური ფუნქცია (ბიოქიმია)
ადამიანის ნორმალური იმუნური ფუნქცია (იმუნოლოგია)
უჯრედის ნორმალური ბიოლოგია
ადამიანის ნორმალური განვითარება (ემბრიოლოგია)

ქცევითი და სოციალური მეცნიერებები

ფსიქოლოგია
ადამიანის განვითარება (ბავშვი - მოზარდი - ზრდასრული - ხანდაზმული)
სოციოლოგია

კლინიკური მეცნიერებები

პათოლოგიური სტრუქტურა და დაავადებების მექანიზმი (პათოლოგია)
ინფექცია (მიკრობიოლოგია)
იმუნიტეტი და იმუნოლოგიური დაავადებები
გენეტიკა და მემკვიდრული დაავადებები

წამლები და მათი დანიშვნა

ანტიბიოტიკების გამოყენება და ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა
წამლების გამოწერის პრინციპები
წამლების გვერდითი ეფექტები
წამლების ურთიერთქმედება
სისხლისა და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია
წამლების მოქმედება და ფარმაკოკინეტიკა
ცალკეული წამლები
სხვადასხვა ტიპის დამხმარე/ალტერნატიული სამკურნალო საშუალებები და მათი გამოყენება
პაციენტის მკურნალობაში

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

დაავადებების პრევენცია
ცხოვრების წესი, დიეტა და კვება
ჯანმრთელობის ხელშეწყობა
დაავადების სკრინინგი და დაავადებებზე ზედამხედველობა
ინვალიდობა/უნარშეზღუდულობა
გენდერული საკითხები ჯანდაცვაში
ეპიდემიოლოგია
კულტურული და ეთნიკური ფაქტორების ზეგავლენა ჯანდაცვაზე
რესურსების განაწილება და ჯანმრთელობის ეკონომიკა
გლობალური ჯანმრთელობა და უთანასწორობა

ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები სამედიცინო პრაქტიკაში

პაციენტის უფლებები

უნარშეზღუდული პირების უფლებები

კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპები

ექიმის როლი ჯანდაცვის სისტემაში

მედიცინასთან დაკავშირებული კანონმდებლობა

პროფესიული რეგულაციის სისტემები

კლინიკური აუდიტის პრინციპები

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გზები